საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030130323850317

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/9924 **20 / თებერვალი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა“ (პროგრამული კოდი-35 03 02 10) პროგრამით გათვალისწინებულია მომსახურების ეფექტურობის შეფასების კომპონენტი, რომელიც მოიცავს ერთიანი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას, სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაციას, ინფორმაციის დამუშავებას და ინფორმაციული რესურსების შექმნას. აღნიშნული ღონისძიების დაფინანსება უნდა განხორციელდეს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან, რისთვისაც საჭიროა პროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების გაზრდა, ამავე პროგრამისათვის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე.

ასევე, გაცნობრბთ, რომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ პროგრამის „მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამის“ (35 02 03 14) ბიუჯეტი განისაზღვრა 46 000 ლარით, მათ შორის პირველი კვარტლის გეგმა - 11 500 ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში იანვრის თვეში გაწეული ხარჯი შეადგენს 3 150 ლარს და პროვაიდერის მიერ ასანაზღაურებლად წარმოდგენილია 10 850 ლარის შესრულებული სამუშაო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე კვარტალში ხარჯების სრულად დასაფინანსებლად საჭიროა „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების გაზრდა, ამავე პროგრამების მეოთხე კვარტლის ასიგნებების შემცირების ხარჯზე. კვარტლების დაბალანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს „დღის ცენტრების ქვეპროგრამის“ (პროგრამული კოდი-35 02 03 05) ასიგნებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განახორციელოთ კვარტალურ განწერაში ცვლილებები და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია